| პროგრამის დასახელება | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები |
| პროგრამული კოდი | 02 04 |
| ფუნქციონალური კოდი | 76 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ეკონომიკის სამსახური, ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება |
| პროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებში იგულისხმება მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გათვალისწინებით, არსებული შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. |
| პროგრამის მიზანი | შეიქმნას მიმზიდველი გარემო ქალაქის მაცხოვრებლებისა და სტუმრებისთვის |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: გაიზრდილია მოწესრიგებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურული ობიექტები |

| | |
|--|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია |
| პროგრამული კოდი | 02 04 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 761 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში არსებული მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია ენერგოეფექტური მიდგომების გათვალისწინებით. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება იგეგმება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი შემოსავლებით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსებით. |
| ქვეპროგრამის მიზანი | მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები. მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო. |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-9,11 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: გაიზრდილია მრავალბინიანი კორპუსების რეაბილიტირებული სახურავები და ფასადები. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები |

| | |
|--|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | საკადასტრო რუქის დამზადება |
| პროგრამული კოდი | 02 04 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ეკონომიკის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. |
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა-შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | 2024 მდე |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-9,11 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: რეგისტრირებული მუნიციპალური ქონების რაოდენობა |

| | |
|-------------------------|--------------------------|
| ქვეპროგრამის დასახელება | შადრევნების ექსპლოატაცია |
|-------------------------|--------------------------|

| | |
|--|--|
| პროგრამული კოდი | 02 04 03 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა.(ა).პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“ |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შადრევნების ექსპლოატაციისთვის საჭირო მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება |
| ქვეპროგრამის მიზანი | შადრევნების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: გამართული შადრევნების რაოდენობა |

| | |
|---|--|
| პროგრამის დასახელება | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები |
| პროგრამული კოდი | 02 05 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ. |
| პროგრამის მიზანი | სოფლის კრების ოქმით განსაზღვრული პროექტების შესრულება.სოფლების საჭიროებების დაკმაოვნილება. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: განკარგულებით გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ათვისება. |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვა |
| პროგრამული კოდი | 02 06 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, |

| | |
|---|--|
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში მოხდება შენობა-ნაგებობების, ნაპირსამაგრი ჯგებრების და საყრდენი კედლების, შიდასაუბნო და შიდასასოფლო გზების და სხვა ობიექტების მშენებლობისა და შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები, მათ შორის კლიმატგონივრული მიდგომები. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას.საინჟინრო ნაგებობების პროექტირება გზების კაპიტალური მშენებლობის საპროექტო მომსახურება ავარიული სახლების პროექტირება სანიაღვრე სისტემების პროექტირება საექსპერტო მომსახურების შესყიდვა |
| პროგრამის მიზანი | საჭირო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განსახორციელებლად კანონმდებლობით მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა,სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით. პროექტების საფუძველზე მაღალხარისხიანად შესრულებული სამშენებლო სამუშაოები. |

| | |
|---------------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | მშენებლობა-რეაბილიტაცია |
| პროგრამული კოდი | 02 07 |
| ფუნქციონალური კოდი | 7443 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული და ახალი ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია კლიმატგონივრული მიდგომების გათვალისწინებით, როგორებიცაა: არასაცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობები, საყრდენი კედლები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, სხვადასხვა დანიშნულების მქონე ობიექტები მშენებლობა, მოწყობა, შეკეთება |
| პროგრამის მიზანი | არსებული შენობა-ნაგებობების შეკეთება/რემონტი და სხვადასხვა დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობა |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |

| | |
|---|--|
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: ახალი და რეაბილიტირებული ობიექტები |

| | |
|--|--|
| ქვეპროგრამის დასახელება | მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია |
| პროგრამული კოდი | 02 07 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 7443 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, |
| ქვეპროგრამის აღწერა | <p>პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგება. მუნიციპალიტეტში არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მათ შორის შენობების ენერგოეფექტური განახლება. მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება . ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გაჯანსაღება; სტიქიური მოვლენებისაგან დაცული ქალაქის ქუჩები; საინჟინრო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და მოსახლეობისათვის სრულყოფილი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება; ამორტიზირებული და დაზიანებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მინიმუმამდე დაყვანა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ადაპტაცია დეფიციტური სერვისების მიწოდების მიზნით (ღვინის ლაბორატორიის სივრცის მოწყობა). ახალი ობიექტების მშენებლობა ენერგო ეფექტური მიდგომების გათვალისწინებით, გარემო პირობების გაუმჯობესება. რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.</p> |
| ქვეპროგრამის მიზანი | გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: გამართულად ფუნქციონირებადი შენობა-ნაგებობები აღდგენილი და ახლად აშენებული ინფრასტრუქტურის ობიექტები. |

| | |
|-------------------------|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, მოწყობა, რეაბილიტაცია |
|-------------------------|---|

| | |
|--|--|
| პროგრამული კოდი | 02 07 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 7443 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზების გამაგრებითი სამუშაოები საყრდენი კედლების მოწყობის გზით და მდინარეების ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოწყობა. |
| ქვეპროგრამის მიზანი | გზების გვერდულების გამაგრებითი სამუშაოების წარმოება, ნაპირსამაგრი ნაგებობების/ჯებირების მოწყობა-რეაბილიტაცია სტიქიის ლიკვიდაცია. |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: მოწყობილი და რეაბილიტირებული გზის გვერდულები და ნაპირსამაგრები. |

| პროგრამის დასახელება | მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამა |
|---|---|
| პროგრამული კოდი | 02 08 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით. ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ მაღალმთიანი სტატუსის მქონე დასახლებაზე. შესასრულებელი პროექტების განსაზღვრა და განხორციელება ხდება მერიის და მოსახლეობის მიერ. |
| პროგრამის მიზანი | მაღალმთიანი დასახლების საჭიროებების დაკმაოვრება. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: განკარგულებით გამოყოფილი თანხის მაქსიმალურად ათვისება. |

| | საზედამხედველო მომსახურების შესყიდვა |
|-----------------------------|--|
| პროგრამული კოდი | 02 09 |
| ფუნქციონალური კოდი | 749 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, |
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტენდერით გამოვლენილი კომპანიის მიერ მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების ინსპექტირება-ექსპერტიზა. |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია სტანდარტებთან შესაბამისი და ხარისხიანი სამუშაოების მიღების უზრუნველყოფა |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-8,9,11 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1 : ხარისხიანად შესრულებული სამუშაოები |

3.პრიორიტეტი-დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა-მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება-გაუმჯობესების და ეპიდემიური დაავადებებისგან თავის დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება,სასყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება,ტერიტორიის თოვლის საფარის გაწმენდა,მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება.მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ქალაქში მოძრაობის აღკვეთა.დამატებითი ურნების დადგმა,არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა,ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა,სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა.

| პროგრამული კოდი | პროგრამის/ქვეპროგრამის/დონისძიების დასახელება | 2025 წლის გეგმა | | | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|-----------------|---|-----------------|------------------------|-----------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | | სულ | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები | | | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 1,935.9 | 935.9 | 1,000.0 | 1,936.0 | 1,965.0 | 2,110.9 |
| 03 01 | დასუთავება და ნარჩენების გატანა | 1,930.9 | 930.9 | 1,000.0 | 1,931.0 | 1,960.0 | 2,105.9 |
| 03 01 01 | აიპ ბღდათის კეთილმოწყობის დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება | 1,930.9 | 930.9 | 1,000.0 | 1,931.0 | 1,960.0 | 2,105.9 |
| 03 02 | ქალაქის გამწვანება | 5.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |

| | |
|-----------------------------|---|
| | დასუფთავება და ნარჩენების გატანა |
| პროგრამული კოდი | 03 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 751 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.(ა).ი.პ „ბღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება |

| | |
|---|--|
| პროგრამის აღწერა | პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება, ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება, დამატებითი ურნებისა დადგმა |
| პროგრამის მიზანი | პროგრამა ემსახურება ტერიტორიის დასუფთავებას, ქალაქში პირუტყვის მოძრაობის აღკვეთას და ზამთრის სეზონზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-6,15 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: სუფთა ქუჩები.შენარჩუნებულია სანიტარული წესრიგი |

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ქალაქის გამწვანება |
| პროგრამული კოდი | 03 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 754 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.(ა).ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავების და მუნიციპალური სერვისების გაერთიანება“ |
| პროგრამის აღწერა | ქალაქის იერსახის მოწესრიგებისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის ფარგლებში განხორციელდება არსებული მწვანე საფარის მოვლა-შენარჩუნება და ზრდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში და ქალაქის ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა, ხეების შეთეთრება და მოჭრა-გადაბეღვა |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის განხორციელების მიზანს და შედეგს წარმოადგენს ქალაქის იერსახი შენარჩუნება-გაუმჯობესება და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების მოწესრიგება |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-6,9,11,15 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: მეტი ეკოლოგიურად სუფთა და გამწვანებული გარემო |

4.პრიორიტეტი-განათლება (04 00)

პრიორიტეტის მოკლე აღწერა- პრიორიტეტი განათლება ხორციელდება სამი მიმართულებით:

- სკოლამდელი განათლება;
- სკოლის გარეშე განათლება;
- საკოლო განათლების ხელშეწყობა.

სკოლამდელი განათლების მიზანია აღსაზრდელების სკოლისათვის მომზადება,ინკლუზიური სკოლამდელი აღზღდის და განათლების მიწოდება.ამ მიზნით მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს განათლების თანაბარ

ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობას, თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვას და განხორციელებას.

სკოლის გარეშე განათლების მიწოდება ხდება მუნიციპალიტეტში არსებული შემდეგი დაწესებულებების მეშვეობით:

- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი.

სადაც განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათი ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირება.

სასკოლო განათლების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება ბაღდათის მუნიციპალიტეტში დაიწყო 2019 წელს, მთავრობის განკარგულების შესაბამისად დელიგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. მიმდინარე წელს ჩატარდება რამდენიმე საჯარო სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და განხორციელდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს: სკოლადელი და სკოლის გარეშე აღზრდის სფეროში მოქმედი სტანდარტების შესაბამის სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დანერგვას და განხორციელებას, კვებითი უზრუნველყოფას, ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და განვითარებას, თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნას და სხვა.

| პროგრამული კოდი | პროგრამის/ქვეპროგრამის /ღონისძიების დასახელება | 2025 წლის გეგმა | | | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|-----------------|--|-----------------|------------------------|-----------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | | სულ | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები | | | |
| 04 00 | განათლება | 2,585.0 | 1,585.0 | 1,000.0 | 2,287.0 | 2,297.0 | 2,413.0 |
| 04 01 | სკოლადელი აღზრდა | 2,300.0 | 1,300.0 | 1,000.0 | 2,040.0 | 2,050.0 | 2,166.0 |
| 04 01 01 | ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლადელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება“ | 2,300.0 | 1,300.0 | 1,000.0 | 2,040.0 | 2,050.0 | 2,166.0 |
| 04 02 | სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა | 285.0 | 285.0 | 0.0 | 247.0 | 247.0 | 247.0 |
| 04 02 01 | სასკოლო განათლების ხელშეწყობა | 5.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| 04 02 02 | ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ | 280.0 | 280.0 | 0.0 | 242.0 | 242.0 | 242.0 |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | სკოლადელი აღზრდა |
| პროგრამული კოდი | 04 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 791 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სკოლადელი აღზრდის და განათლების დაწესებულებათა გაერთიანება, ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური. |

| | |
|-------------------------|---|
| <p>პროგრამის აღწერა</p> | <p>ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური წლის განმავლობაში დაქვემდებარებულ ა.(ა).ი.პ-თან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს:</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანამედროვე სასწავლო სტანდარტის დანერგვა ასევე ამ სტანდარტის შეაბამისად სასწავლო სააღმზადელო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწყობა და შეასაბამისი კვებითი უზრუნველყოფა, პროგრამის ფარგლებში ა.(ა).ი.პ-ში შემავალ დაწესებულებებთან ერთად მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება, ხელმისაწვდომობის გაზრდა და ეფექტური მართვის სისტემის ჩამოყალიბება.სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში ბავშვებისათვის იმ აუცილებელი ცოდნისა და ქცევის ნორმების შექმნა, რაც უზრუნველყოფს მის მზადყოფნას სკოლაში წასვლისა და ყოველდღიური ცხოვრებისათვის. გაერთიანებისა და ოჯახის ურთიერთობის ოპტიმალური ფორმების დანერგვა და პარტნიორული ურთიერთობის დამყარება.ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.აღსაზრდელის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციური განვითარებაზე ზრუნვა. აღსაზრდელთათვის საზოგადოებაში ადაპტაციისათვის საჭირო უნარ - ჩვევების შექმნა.აღსაზრდელთა ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობის შესაბამისად ცოდნით უზრუნველყოფა.</p> |
| <p>პროგრამის მიზანი</p> | <p>პროგრამის მიზანია სკოლამდელი დაწესებულებების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდება, უსაფრთხო და მიმზიდველი გარემოს შექმნა. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.</p> |

| | |
|---|--|
| | |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-4 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: რეაბილიტირებული შენობები, განახლებულია სააღმზრდელო პროგრამები და მეთოდოლოგია |

| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის დასახელება | სასკოლო და სკოლის გარეშე განათლების ხელშეწყობის პროგრამა |
| პროგრამული კოდი | 04 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 7923 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური, ადმინისტრაციული სამსახური. ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი“ განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | <p>პროგრამა გულისხმობს საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეყიდვის და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის განკარგულებებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას.</p> <p>საგანმანათლებლო პროექტებში წარმატებული მოსწავლეები და მასწავლებლები დაჯილდოვდებიან ფულადი და ფასიანი საჩუქრებით. ასევე მოხდება ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება. აგრეთვე დახმარება გაეწევა საჯარო სკოლებს სხვადასხვა პროექტის განხორციელების პროცესში. მოხდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალქულიანი და სახელმწიფო გრანტის მქონე აბიტურიენტების დაჯილდოვება წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით ფასიანი საჩუქრებით და ფულადი ჯილდოთი.</p> <p>რაც შეეხება არაფორმალურ განათლებას, განხორციელდება სხვადასხვა სახის აქტივობები, დაიწყება ამ კუთხით მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკის დანერგვა, მოსწავლეთა აქტიური ჩართვა მიმდინარე სასწავლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში. პროგრამის</p> |

| | |
|--|---|
| | <p>ფარგლებში განხორციელდება სასწავლო დაწესებულებების განვითარების ხელშეწყობა. თანამშრომელთათვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა. ეს დაწესებულებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> - მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი. <p>მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლი არის მრავალპროფილიანი სასწავლო, კულტურულ, სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო , აღმზრდელით ზნეობრივ საქმიანობა, ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნებად ჩამოყალიბებას, ჰარმონიულ, ინტელექტუალურ , ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას.მათი შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესის განვითარების მიზნით სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში შესაბამისი სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის და ღონისძიებების ორგანიზება.მოზარდთათვის გონებრივ, ფიზიკურ , ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველი ბავშვების ხელშეწყობა, შშმ პირთათვის სხვადასხვა პროგრამების შემუშავება და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა.მოსწავლეთათვის თავისუფალი დროის ორგანიზება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის ხელშეწყობა,საზოგადოებაში ადაპტაციის უნარ-ჩვევების შექმნა.განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენისათვის ხელშეწყობა.მასობრივი ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება</p> |
| <p>პროგრამის მიზანი</p> | <p>საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა და საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მოზარდთათვის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და სრულყოფისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. განათლების სფეროს წარმომადგენელთა წახალისება და მხარდაჭერა.</p> |
| <p>პროგრამის განხორციელების ვადები</p> | <p>მუდმივი</p> |
| <p>გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა</p> | <p>მე-4 მიზანი</p> |
| <p>პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p> | <p>შედეგი 1: მოსწავლეთა შეუფერხებელი ტრანსპორტით უზრუნველყოფა და განახლებული სასკოლო ინფრასტრუქტურა. მოტივირებული მოსწავლეები და პედაგოგები მხარდაჭერილია. გაზრდილია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა რაოდენობა.</p> |

5.პრიორიტეტი-კულტურა,რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები. (05 00)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში აგრძელებს კულტურული, ახალგაზრდული, სპორტული ღონისძიებების და ეკლესიის ხელშეწყობას. პრიორიტეტი გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და პოპულარიზაციას, სპორტის განვითარების ხელშეწყობას და პოპულარიზაციას, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებას და მათ მრავალფეროვნებას. ამ მიზნით ფუნქციონირებს:

რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, საბავშვო მუსიკალური თეატრი;

ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 6 სასოფლო ბიბლიოთეკა, ინოვაციების ცენტრი,ბაღდათის საინფორმაციო ცენტრი,სამოლაშქრო ტურიზმი „ გაიცანი ბაღდათი“;

ვ.ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

საფეხბურთო კლუბი „საირმე“;

სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი.

სოფელ წითელხევის „კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლა“

„ვალერიან ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სკოლა“

„სალოტბარო სკოლა“

| პროგრამული კოდი | პროგრამის/ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება | 2025 წლის გეგმა | | | 2026 წლის პროგნოზი | 2027 წლის პროგნოზი | 2028 წლის პროგნოზი |
|-----------------|---|-----------------|------------------------|-----------------------------------|--------------------|--------------------|--------------------|
| | | სულ | მ.შ. საკუთარი სახსრები | მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები | | | |
| 05 00 | კულტურა,რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი | 2,883.0 | 2,883.0 | 0.0 | 2,738.0 | 2,743.0 | 2,868.0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 975.0 | 975.0 | 0.0 | 938.0 | 938.0 | 973.0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 32.0 | 32.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 05 01 02 | ააიპ.ბაღდათის სპორტის და მოზარდთა აქტივობის ცენტრი | 940.0 | 940.0 | 0.0 | 915.0 | 915.0 | 950.0 |
| 05 01 04 | ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობა | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 1,795.0 | 1,795.0 | 0.0 | 1,715.0 | 1,715.0 | 1,805.0 |
| 05 02 01 | ააიპ. ბაღდათის ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი | 1,420.0 | 1,420.0 | 0.0 | 1,395.0 | 1,395.0 | 1,455.0 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 45.0 | 45.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 05 02 03 | ა(ა)იპ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის სამუსიკო და სახელოვნებო | 330.0 | 330.0 | 0.0 | 300.0 | 300.0 | 330.0 |

| | | | | | | | |
|----------|---|------|------|-----|------|------|------|
| | დაწესებულებათა გაერთიანება“ | | | | | | |
| 05 03 | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება | 43.0 | 43.0 | 0.0 | 15.0 | 20.0 | 20.0 |
| 05 03 01 | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 40.0 | 40.0 | 0.0 | 15.0 | 20.0 | 20.0 |
| 05 03 02 | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 3.0 | 3.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 05 04 | ეკლესიის ხელშეწყობის პროგრამა | 70.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 70.0 | 70.0 |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | სპორტის განვითარების ხელშეწყობა |
| პროგრამული კოდი | 05 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 78 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი |
| პროგრამის აღწერა | <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; შეკრებებისა და საწვრთნელი პროცესის ორგანიზება; სახელობითი ტურნირების ჩატარება; შშმ პირებისათვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენა და შესაბამისი გარემოს შექმნა, ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 11 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, აკრობატიკა, ფრნბურთი კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; ქალთა სპორტის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება.</p> <p>საქართველოს ჩემპიონატის რეგიონ ლიგაში მონაწილე ფეხბურთის გუნდისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სათანადო ეკიპირებითა და საჭირო საფეხბურთო ინვენტარით აღჭურვა, გასვლით მატჩებზე გუნდის ტრანსპორტითა და კვებით უზრუნველყოფა, პირველ ეტაპზე ფეხბურთელების მოგებული მატჩებისათვის პრემირების სისტემის დანერგვა.</p> |

| | |
|---|---|
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა, ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის გამართული ფუნქციონირება, ეროვნულ ჩემპიონატებში, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებში წარმატებით მონაწილეობა. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-3,4,5 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: გაზრდილია სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა. |

| | |
|--|--|
| ქვეპროგრამის დასახელება | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება |
| პროგრამული კოდი | 05 01 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 781 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება და ხელშეწყობა; დვაწლმოსილი და ვეტერანი სპორტის დამსახურებული სპორტსმენების დასაჩუქრება |
| ქვეპროგრამის მიზანი | ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა. |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-4 ,5 ,16 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: სპორტულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობი ზრდა |

| | |
|--|--|
| პროგრამული კოდი | 05 01 04 |
| ფუნქციონალური კოდი | 781 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ა.ა).ი.პ „საჭადრაკო კლუბი ბაღდათის“ დაფინანსება სუბსიდირების გზით. ა.ა).ი.პ არ არის მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული |
| ქვეპროგრამის მიზანი | ქვეპროგრამა მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში ჭადრაკის განვითარების ხელშეწყობას. პირველ ეტაპზე გაცემული სუბსიდია მოხმარდება საჭადრაკო ტურნირებში მონაწილეობასთან დაკავშირებულ ხარჯებს |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-4 ,5,16 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1 : გაზრდილია საჭადრაკო ტურნირებში მონაწილე ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა. |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | კულტურის განვითარების ხელშეწყობა |
| პროგრამული კოდი | 05 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 782 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური და ა.ა).ი.პ „ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ა.ა).ი.პ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის „სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“ |
| პროგრამის აღწერა | <p>პროგრამა გულისხმობს კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს პოპულარიზაცია-განვითარებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას. კულტურულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლებას, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, მიზიდველი და საინტერესო საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების შექმნას, სადაც მოსახლეობა იღებს განათლებას და ინფორმაციას, რაც ხელს უწყობს განათლებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. ინფრასტრუქტურის განვითარებას.</p> <p>მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების შენარჩუნების და პოპულარიზაციის მიზნით ფუნქციონირებს ა.ა).ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი, რომელშიც თავის მხრივ გაერთიანებულია:</p> |

| | |
|---|--|
| | <p>1. რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები.</p> <p>2. ჯანსუღ ღვინჯილიას სახელობის ცენტრალური და 4 სასოფლო ბიბლიოთეკა.</p> <p>3. ვ.ვ. მაიაკოვსისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.</p> <p>ბაღდათის მუნიციპალიტეტის „სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა გაერთიანება“ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სამუსიკო-სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებს დაწყებით და საბაზო საორიენტაციო საფეხურებზე. უზრუნველყოფს სამუსიკო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებას. ქართული ტრადიციული გალობის და ხალხური სიმღერის შენარჩუნება და ახალგაზრდებისათვის უფასოდ შესწავლას. მოსწავლეთა კონკურსებში, ფესტივალებში და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფას. ზრუნვა მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე.</p> <p>გაერთიანება მოიცავს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სოფელ წითელხევის „კოტე ფოცხვერაშვილის სახ. ხელოვნების სკოლას“ 2. „ვალერიან ქაშაკაშვილის სახ. მუსიკალური სკოლას“ 3. „სალოტბარო სკოლას“ |
| პროგრამის მიზანი | ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ბიბლიოთეკების, მუზეუმების და თეატრისადმი მოსახლეობის დაინტერესებისა და ჩართულობის გაზრდა, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების ხელშეწყობა. მოსწავლეთათვის შესაბამისი დაწყებითი სამუსიკო-სახელოვნებო განათლების მიცემა. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-4, 5, 16 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა. გაზრდილია სამუსიკო და სახელოვნებო დაწესებულებათა მოსწავლეთა რაოდენობა. |

| | |
|--------------------------------|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება |
| პროგრამული კოდი | 05 02 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 782 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| ქვეპროგრამის აღწერა | ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, ფესტივალებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების ორგანიზებას. |

| | |
|--|---|
| | კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების ხელშეწყობას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებზე შემოქმედებითი ჯგუფების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, ყვავილების თაიგულების შექმნას საერო, საეკლესიო და კულტურული ღონისძიებების აღსანიშნავად. |
| ქვეპროგრამის მიზანი | მუნიციპალიტეტში კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება. ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად შესაძლებელი იქნება მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტურისტული დანიშნულების ადგილად ქცევის ხელშეწყობა, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის გზით. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების შემოქმედების წარმოჩენა მათი მოტივაციის გაზრდა. |
| ქვეპროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა | მე-4 ,5, 16 მიზანი |
| ქვეპროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1: შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა |

| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის დასახელება | ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება |
| პროგრამული კოდი | 05 03 |
| ფუნქციონალური კოდი | 784 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | ახალგაზრდობა მუნიციპალიტეტის განსაკუთრებული საზრუნავია. მისი შემოქმედებითი და შრომითი პოტენციალის, ახალ სამყაროში თავისუფალი ხედვის, ინიციატივანი და პასუხისმგებლობითი აქტიურობის უნარის ჩანერგვა, საკუთარ მისწრაფებათა რეალიზაციის ახალი სიმძლავრეების შექმნა პრიორიტეტული საკითხია. არსებულ ვითარებაში მუნიციპალიტეტის სტრატეგია გულისხმობს იმას, რომ ახალგაზრდობის განვითარებისათვის შეიქმნას მაქსიმალურად ხელშემწყობი პირობები. ახალგაზრდების ჩართულობა სხვადასხვა ტიპის აქტივობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. |

| | |
|---|---|
| | |
| პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია უპასუხოს ახალგაზრდობის გამოწვევებს, მოისმინოს ახალგაზრდების ხმა მათი ინიციატივების სახით და ხელი შეუწყოს ახალგაზრდული სამოქალაქო აქტივობის ზრდას. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-4 ,5, 16 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1აქტიური და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად ჩართული ახალგაზრდობა. გამოვლენილია საუკეთესო პროექტები. |

| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის დასახელება | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება |
| პროგრამული კოდი | 05 03 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 784 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | <p>პროგრამა გულისხმობს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) ახალგაზრდული პლატფორმების(საბჭო, ცენტრი, კლუბი) გაძლიერებას და ხელშეწყობას ახალგაზრდული სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის ეფექტურად განხორციელების მიზნით. 2) მოქალაქეობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობას ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს მათ ჩართულობას მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში. 3) ახალგაზრდების ინფორმირებას მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების შესახებ და მათ კვალიფიციური მხარდაჭერას. 4) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დასაქმების ფორუმის ორგანიზებას. 5) რეკრეაციული, შემეცნებითი და კულტურული ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერას. (ლამპრობები, ექსკურსიები, ინტელექტუალური თამაშები) 6) ახალგაზრდებისათვის პოტენციურად ხელმისაწვდომი შეკრების სივრცეებისა და მასში კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უზრუნველყოფას. 7) ახალგაზრდული და მოხალისეობრივი მოძრაობის განვითარებას, რომელიც მიზნად ისახავს მოხალისეობრივი |

| | |
|---|---|
| | ინსტიტუტის პოპულარიზებასა და გაძლიერებას, მოსახლეობის ჩართვას სხვადასხვა მოხალისეობრივ აქტივობებში, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს თითოეული ინდივიდის პიროვნულ ზრდას (ტრენინგების/სემინარების/სასწავლო სესიების/პრაქტიკული სავარჯიშოების და ა.შ. საშუალებით) სხვადასხვა მიმართულებით, რომელიც განხორციელდება საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოების მხარდაჭერითა და ჩართულობით |
| პროგრამის მიზანი | ახალგაზრდული პროგრამების განხორციელება მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ახალგაზრდებს აქვთ თვითრეალიზაციის და თვითგამოხატვის შესაძლებლობა, იზიარებენ ურთიერთთანამშრომლობის და ტოლერანტობის პრინციპებს. უზრუნველყოფილია მათი მონაწილეობა ახალგაზრდული საქმიანობის კუთხით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. |
| პროგრამის განხორციელების ვადები | მუდმივი |
| გაეროს მდგრადი განვითარების SDG მიზანი, რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა | მე-4 ,5, 16 მიზანი |
| პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი | შედეგი 1. სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულია ახალგაზრდობა. |

| | |
|-----------------------------|---|
| პროგრამის დასახელება | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა |
| პროგრამული კოდი | 05 03 02 |
| ფუნქციონალური კოდი | 784 |
| პროგრამის განმახორციელებელი | განათლების, კულტურის და სპორტის სამსახური |
| პროგრამის აღწერა | ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა იმისა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები. პროგრამის ფარგლებში ჩატარდება კონკურსი საუკეთესო ინიციატივების პროექტების გამოვლენა და მოხდება გამარჯვებული პროექტების დაფინანსება. |

| | | | | | | | |
|----------|--|-------------|-------|-------|-------|-------|-------|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. | 1,024. 3 | 847.6 | 176.7 | 834.3 | 892.6 | 932.0 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 174.7 | 0.0 | 174.7 | 174.7 | 174.7 | 174.7 |
| 06 01 01 | ააიპ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი | 174.7 | 0.0 | 174.7 | 174.7 | 174.7 | 174.7 |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 839.6 | 837.6 | 2.0 | 649.6 | 707.9 | 747.3 |
| 06 02 01 | სამედიცინო დახმარების ხარჯები | 273.5 | 273.5 | 0.0 | 190.0 | 215.0 | 230.0 |
| 06 02 02 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 2.0 | 2.0 |
| 06 02 03 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების დახმარების ხარჯები | 2.5 | 2.5 | 0.0 | 2.5 | 2.5 | 2.5 |
| 06 02 04 | უფასო სასაბუღალტრო დაფინანსება | 65.0 | 65.0 | 0.0 | 65.0 | 65.0 | 65.0 |
| 06 02 05 | ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 06 | სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ხარჯი | 5.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 07 | თანადგომის საჭიროების მქონე ოჯახთა დახმარება | 70.0 | 70.0 | 0.0 | 61.1 | 60.0 | 60.0 |
| 06 02 08 | ვეტერანთა დახმარება | 20.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 20.0 | 20.0 |
| 06 02 09 | შშმ პირთა დახმარება | 40.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 | 40.0 | 40.0 |
| 06 02 10 | ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეთა დახმარება | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 2.0 |
| 06 02 11 | დღეგრძელი (100 და მეტი წლის ასაკის) მოქალაქეთა დახმარება | 5.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| 06 02 12 | დიალიზით მოსარგებლე მოქალაქეთა დახმარება | 60.0 | 60.0 | 0.0 | 45.0 | 45.0 | 45.0 |
| 06 02 13 | 18 წლამდე ასაკის ობოლი ბავშვიანი ოჯახებისა და მარტოხელა მშობლების დახმარება. | 35.0 | 35.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 15.0 |
| 06 02 14 | სასკოლო ასაკის ბავშვის აღსაზრებლათა პროფილაქტიკური გამოკვლევა. | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 15 | მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება | 17.0 | 17.0 | 0.0 | 12.0 | 12.0 | 12.0 |
| 06 02 16 | უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| 06 02 17 | მედიკამენტების დაფინანსება | 64.6 | 64.6 | 0.0 | 60.0 | 60.0 | 60.0 |

| | | | | | | | |
|----------|--|-------|-------|-----|------|------|-------|
| 06 02 18 | აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის და რეაბილიტაციის პროგრამა | 8.0 | 8.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 5.0 |
| 06 02 19 | სასურსათო პაკეტებით უზრუნველყოფა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 06 02 20 | საცხოვრებლით უზრუნველოფა | 105.0 | 105.0 | 0.0 | 60.0 | 94.4 | 118.8 |
| 06 02 21 | ხანძრის შედეგად მიყენებული ზიანის თანადაფინანსება | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 |
| 06 02 22 | ბავშვიანი ოჯახების გაძლიერება | 25.0 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 25.0 | 25.0 |
| 06 02 23 | ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 7.0 | 7.0 | 0.0 | 7.0 | 7.0 | 7.0 |
| 06 03 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 10.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 | 10.0 | 10.0 |

| | |
|-----------------------------|--|
| პროგრამის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება |
| პროგრამული კოდი | 06 01 |
| ფუნქციონალური კოდი | 774 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.(ა).ი.პ „ბაღდათის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ |

პროგრამის აღწერა

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი. ინფექციურ დაავადებათა ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში მონაცემთა (72 დაავადება და მდგომარეობა) შეყვანა.
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა სამედიცინო დაწესებულებებთან (პირველადი ჯანდაცვის (პჯდ)-ს და ჰოსპიტალურ სექტორთან ერთად, განხორციელების ლოგისტიკური ხელშეწყობა, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის სახით;
- იმუნიზაციის საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა - იმუნიზაციისა და მარაგების მართვის ელექტრონული მოდულის გამართული მუშაობის კოორდინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობის დამხმარე ზედამხედველობა.
